



25.03.2014 16:23

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
 - [პოლიტიკა](#)
 - [საზოგადოება](#)
 - [ადამიანის უფლებები](#)
 - [განათლება](#)
 - [ეკოლოგია](#)
 - [კულტურა](#)
 - [ეკონომიკა](#)
 - [ტექნოლოგიები](#)
 - [სპორტი](#)
- [სტატები](#)
- [მულტიმედია](#)
- [მედია](#)
- [ვაკანსიები](#)
- [არქივი](#)
- [კონტაქტი](#)

[მთავარი](#) » [ახალი ამბები](#) » ნინო გუჯარაიძე – კულტურის სამინისტროს პროცესისთვის დამლუპველი პოზიცია უჭირავს

ნინო გუჯარაიძე – კულტურის სამინისტროს პროცესისთვის დამლუპველი პოზიცია უჭირავს

2014.01.09 | 17:36

Like 4 people like this. Be the first of your friends.

0

0



ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორის ნინო გუჯარაიძის განცხადებით, საყდრისის მალაროსთვის ძეგლის სტატუსის მოხსნაზე დაწყებული სასამართლო დავა ერთ-ერთი წინაპირობა უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ ძეგლის ტერიტორიაზე სამუშაოები ჯერ არ დაწყებულიყო. როგორც ნინო გუჯარაიძემ ქვემო ქართლის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, „RMG Gold“ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაელოდა და სამუშაოები ნაჩქარევად დაიწყო.

„კულტურის მინისტრის ბრძანება, რომლითაც ძეგლს სტატუსი მოეხსნა, გასაჩივრებული გვაქვს. ეს იმის წინაპირობა უნდა ყოფილიყო, რომ კომპანიას სამუშაოები არ დაეწყო. რადგან დავა გრძელდება და კანონმდებლობა შესაძლებლობას გვაძლევს, რომ მინისტრის ბრძანება გავასაჩივროთ, ასე არ უნდა ეჩქარათ სამუშაოების დაწყება. ეს არის ერთგვარი ხრიკი კომპანიის მხრიდან, სასამართლოში დავაა და ამ დროს ის იწყებს ძეგლის განადგურებას. ეს არის ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლის ხელყოფა, რაც ძალიან ცუდი ფაქტია. სამწუხაროდ, აქამდე გავრცელებული ინფორმაციით, ზუსტად არ ვიცოდით რამდენად იყო ეს ძეგლის ტერიტორია, მაგრამ თუ მუზეუმის თანამშრომლები ადასტურებენ ამას, ცხადია, ძალიან ცუდია. დიდი იმედი გვაქვს, რომ კულტურის სამინისტრო ამაში დროულად ჩაერთვება. მას აქვს ბერკეტები, რომ პროცესი რალაცნაირად შეაჩეროს“, - აღნიშნა ნინო გუჯარაიძემ.

მისივე თქმით, კომპანიამ საყდრისის მალაროს განადგურება იმ დროს დაიწყო, როდესაც ძეგლის ხელყოფის ხელშემშლისთვის გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა.

„როგორც იცით, გერმანულ მხარესთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები. საუბარი იყო საერთაშორისო კომისიის შექმნაზეც. როდესაც უკვე ყველა მიმართულებით რაღაც ხდება, რაღაც კეთდება იმისთვის, რომ რამენაირად ხელი შევუშალოთ ძეგლის განადგურებას, ამ დროს კომპანია იწყებს ძეგლის განადგურებას“, - განუცხადა ქვემო ქართლის საინფორმაციო

ცენტრს ნინო გუჯარაიძემ.

„მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორის განცხადებით, რადგან საყდრისის საბადოს ძეგლის სტატუსი მოხსნილი აქვს, გარემოს და კულტურის სამინისტროებს საყდრისის გადასარჩენად ნაკლები ბერკეტი აქვთ.

„წილის შესახებ კანონის თანახმად, გარემოს დაცვის სამინისტროში კომპანიამ უნდა წარადგინოს კულტურის სამინისტროს თანხმობა იმის შესახებ, რომ იქ რაიმე მნიშვნელოვანი ძეგლი არ არის, რომელსაც წილით მოსარგებლემ საკუთარი საქმიანობით შეიძლება ზიანი მიაყენოს. ვინაიდან კულტურის სამინისტრომ ძეგლს სტატუსი უკვე მოუხსნა, გარემოს დაცვის სამინისტროს ნაკლები ბერკეტი გააჩნია. ამავდროულად, კულტურის სამინისტრო გარკვეულ პროცესებშია ჩართული, რაღაც კომისიებზე მსჯელობს, ანუ ძალიან ორაზროვანი და ცუდი პოზიცია უჭირავს, ფაქტობრივად პროცესისთვის დამლუპველი“, - აღნიშნა ნინო გუჯარაიძემ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“ საყდრისის ოქროს მაღაროსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა და სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონის გაუქმება სასამართლოში გაასაჩივრა. ორგანიზაცია ორივე აქტის ბათილად ცნობას ითხოვს.

მოსამზადებელ სხდომაზე, რომელიც 2013 წლის 24 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა, მთავრობის და კულტურის სამინისტროების წარმომადგენლებმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს, რომ საქმეში მესამე მხარედ კომპანია „RMG Gold“-იც ჩაერთოს, რომელიც საყდრისისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ლიცენზიას ფლობს. ამის გამო პროცესი 7 თებერვლის 14:00 საათისთვის გადაიდო.

ნინო გუჯარაიძის განცხადებით, ეს შუამდგომლობა ერთგვარი აღიარებაც იყო მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან, რადგან ძეგლის სტატუსის გაუქმება სწორედ „RMG Gold“-ის ინტერესებისთვის მოხდა.

შეგახსენებთ, საყდრისის საბადოს ტერიტორიაზე, რომელსაც 5 თვის წინ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოუხსნეს, ორი დღის წინ კომპანია [„RMG Gold“-მა სამუშაოები უნებართვოდ დაიწყო](#). ეროვნული მუზეუმის არქეოლოგის გოდერძი ნარიმანიშვილის განცხადებით, ძეგლი დაზიანებულია და საბადოს ის უნიკალური ნაწილი, რომელიც გერმანელმა მეცნიერებმა შეისწავლეს, მონგრეული და მოსწორებულია.

კულტურის სამინისტროში აცხადებენ, რომ მათ სამუშაოების დაწყებაზე ნებართვა არ გაუციათ და ამ საკითხს შეისწავლიან.

Like 4 people like this. Be the first of your friends.

g+1 0

Tweet 0

Share



Add a comment...

Also post on Facebook

Posting as Natalia Ksovreli (Change)

Comment

Facebook social plugin

Recommendations




კობა ნაყოფია - **RMG**-ის ამხელა დარტყმის ქვეშ დაყენება არ შეიძლება
2 people recommend this.



თამარისში 17 წლის გოგონას გაუპატიურებასა და მკვლელობაში ბრალდებულის ლინჩის წესით დასჯას ითხოვენ
25 people recommend this.

Facebook social plugin

 ქვემო ქართლის საინფორმაციო ცენტრი
Like

950 people like ქვემო ქართლის საინფორმაციო ცენტრი.



Facebook social plugin

